# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

ბაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 21 ივლისი, 1990 წელი ● № 30 (2907) ● СУББОТА, 21 ИЮЛЯ 1990 г.


## „რა ყმა ნახო ცუდად ზრდილი“

**ყოველდღიური** ცხოვრება იმდენად იძაბება, იმდენ პრობლემებს წარმოშობს — ძნელია ყოველივეს მისი სახელი დაარქვა ან თუდნაც ადგილი მიუჩინო საზოგადოებაში. მაგრამ დამეთანხმებით ალბათ არასრულწლოვანი, თავისი ქმედებით ნებისმიერ დროსა და ასპექტში ჩვენი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. მოზარდი თაობა ჯერაც დაუღვინებელ მაჭარს ჰგავს, რომელიც ბორგავს და დღენიადაგ ცხოვრების ჭიდილშია. ამიტომ არც თვითდამშვიდება, არც სასთუმალთან მშვიდად ძილი შეიძლება, რადგან არასრულწლოვანთა ხაზით ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკა შემაძრწუნებელია. გაიზარდა რესპუბლიკის მასშტაბით მათ მიერ ჩადენილი სისხლის სამართლისა თუ სხვადასხვა სახის დანაშაული, (წინა წლებთან შედარებით). დღე არ გავა, რაიმე ტრაგიკული ფაქტის მომსწრე არ გავხდეთ. ახალგაზრდები ზოგჯერ უმიზეზოდ, ზოგჯერ მიზეზითაც უმოწყალოდ იმეტებენ ერთმანეთის სიცოცხლეს.

მიმდინარე წლის 6 თვეში არასრულწლოვანთა ხაზით რეგისტრირებულია 418 დანაშაული, რაც 170 ერთეულით ანუ 68,5%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ვერ ვიტყვით, რომელიმე რეგიონში მდგომარეობა სანუგეშოა. დანაშაულის ზრდა აღინიშნა, თბილისში, აფხაზეთში, აჭარაში, სამხრეთ ოსეთში, კერძოდ ქუთაისში 23 (+13,) რუსთავში 17 (+12,) სოხუმში 40 (+25,) მთელი ამ ხნის მანძილზე გამოვლინდა 478 დამნაშავე პირი. (ვინ იცის კიდევ რამდენი იმალება ამ ციფრებს მიღმა). მართალია ესენი სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის, ასაკის, პროფესიის მოზარდები არიან, მაგრამ განა ეს სანუგეშოა. მთავარი ხომ მათ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებაა, გამრუდებული ცხოვრების გზაა. ფაქტია, რომელსაც ვერ გავექცევით. ზემოთ მოყვანილი ციფრებიდან მარტო 177 ბოროტმოქმედი სკოლის მოსწავლეა, 63 არ სწავლობდა და არ მუშაობდა ეს ის თაობაა, რომელიც სხვა რამით უნდა იყოს გატაცებული და არა კაცის კვლით, ქურდობით, მრუშობით და ასე დაუსრულებლივ.

ყველაზე დამაფიქრებელი ალბათ ის არის, რომ 299-2 ანუ ყოველმა მეორე მოზარდმა დანაშაული ჩაიდინა ჯგუფთან ერთად. აქედან 219-მა დანაშაული ჩაიდინა არასრულწლოვანთა ჯგუფში, 80 პირმა კი სრულწლოვანებთან, ერთად 25 პირმა დანაშაული ჩაიდინა განმეორებით.

ჩვენი მკითხველისათვის ალბათ არ იქნება ინტერესს მოკლებული, იცოდეს ყველაზე მეტად რა ასაკის მოზარდები ჩადიან დანაშაულებს, აი რას გვაძლევს ამ კუთხით სტატისტიკა.

14-15 წლისაა 99 პირი, 379 პირი იყო 16-დან—17 წლამდე ასაკისა. 18-დან 24 წლამდე დანაშაულის ჩამდენია 902 პირი, ხოლო 25-დან 29-მდე 1312 პირი, თუ ამ მონაცემებსაც შევადარებთ გასული წლის ანალოგიურ პერიოდს, აშკარა ზრდა შეინიშნება. როგორც ვხედავთ დღემდე გატარებული მუშაობა არასრულწლოვანთა ხაზით დანაშაულის აღსაკვეთად „მგლის თავზე სახარების კითხვას დამგვანებია“ და ბუნებრივია პრობლემებიც ამიტომ დაგროვდა უამრავი.

დავიწყოთ იმით რომ ჩვენში ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ დგას მოსწავლე-ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდა. (არადა ეს არანაკლებ საჭიროა მათთვის ისტორიისა და მათემატიკის ცოდნასთან ერთად), ყურადღების მიღმა რჩება ალკოჰოლიზმის მოხმარების საკითხი (დღემდე არ არის მკაცრი კონტროლი მის რეალიზაციაზე, განსაკუთრებით არასრულწლოვანთა მიმართ), შესუსტდა ბრძოლა ჯგუფური დანაშაულობების წინააღმდეგ, და რაც ყველაზე მწვავე და გადაუჭრელია ოჯახისა და მოზარდის ურთიერთობაა. გაუთავებელი დავები, მშობლების ურთიერთუპატივცემლობა უყურადღებობა შვილებისადმი ის ძირითადი წინაპირობაა, რაც არასრულწლოვანს უბიძგებს დანაშაულისაკენ. თუ ჩვენს მიერ რეგისტრირებულ დანაშაულის ჩამდენ პირთა სულიერ სამყაროს გადავხედავთ, უსათუოდ წავაწყდებით უნდობლობას, ურწმუნობას, საშინელ სიცივეს, გულგრილობას ყველასა და ყველაფრისადმი. როცა 14-15 წლის ბავშვმა არ იცის რა არის ოჯახი, როგორია დედაშვილური ან მამობრივი სიყვარული და საერთოდ არანაირ გრძნობაზე არა აქვს წარმოდგენა, ის თავისუფლად, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ხდება მკვლელი, ქურდი, მძარცველი და გნებავთ ყაჩაღი. ხშირად გვიფიქრია, რატომ ხდება დანაშაულის მეტი წილი არასრულწლოვნებში, იქნებ იმიტომ რომ დრომ ან ცხოვრებამ მოიტანა ეს (ბევრი ასე ხსნის ამას), ან იქნებ ოჯახისა და შვილების, საზოგადოებისა და მოზარდის მცნების გაფეტიშებამ?...

პროფილაქტიკის სამსახურის სამმართველოს მუშაობის პრაქტიკაში უხვად დაგროვდა იმ ფაქტთა რაოდენობა, რომელიც ჩაიდინეს არასრულწლოვნებმა განსაკუთრებული სისასტიკით, ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული ფორმით. არასრულწლოვანმა თ. დ.-მ ხობის რაიონის ერთ-ერთი მოქალაქის საცხოვრებელი ბინიდან მოიპარა ღვინო, მეგობრებთან ე. რ. და ს. ლ.-სთან ერთად არაფხიზელ მდგომარეობაში მოქალაქე ა. ბ.-ს მიმართ ჩაიდინეს მამათმავლობა, ძარცვა და მკვლელობა. რომ იტყვიან კომენტარი ზედმეტია, ან რას უნდა გაუკეთდეს კომენტარი, დავაბრალოთ ყველაფერი არასრულწლოვანთა ხაზით ხობის რაიონის შს რაიგანყოფილების არადამაკმაყოფილებელ მუშაობას, თუ ვიფიქროთ, ვეძიოთ, ვიღონოთ როგორ დავაღწიოთ დღეს არც თუ იშვიათობად ქცეულ მსგავს ფაქტებს თავი?!...

განჩინება იოლია, მაგრამ მოდით იმაზეც ვიფიქროთ რა პირობებში მუშაობენ არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორები; ხშირია კადრების დენადობა, არ არის ელემენტარული პირობები, ბევრგან ადგილობრივ ხელისუფლებას ნაკლებად აინტერესებს არასრულწლოვანთა პრობლემა, ხშირად მათი ბედი ინდივიდზეა მინდობილი, ხოლო მიმაჩნია რომ მოზარდი, მისი დღევანდელობა და ხვალინდელი დღე იმ საერთო საზრუნავთა შორის უნდა იყოს, დღეს რომ ასე ძალიან გვაწუხებს ქართველ ერს, სრულიად საქართველოს.

**გ. ხურციძე**
**პროფილაქტიკის სამსახურის სამმართველოს მე-3 განყოფილების უფროსი.**

## Анализируя итоги партийного форума

**ЗАВЕРШИЛСЯ** XXVIII съезд КПСС. К дискуссиям, которые развернулись на съезде партии, остающейся, несмотря на потрясения, самой влиятельной политической силой в советском обществе, взволнованно прислушивались не только у нас в стране, но и во всем цивилизованном мире. Ведь от того, какой расклад сил будет в партийном и политическом руководстве страны, зависит по какому пути пойдет и пойдет ли вообще качественное, демократичекое обновление партии, ход реформ в СССР и событий в мире. Итоги съезда дают надежду, что партия стала на путь действительно трезвой и конструктивной политики, направленной на процветание общества и государства.

Обо всем этом шла речь на встрече работников органов внутренних дел Юго-Осетии с делегатом XXVIII съезда КПСС первым секретарем Юго-Осетинского обкома партии, членом ЦК КПСС В. Цховребашвили. Встреча прошла в Доме политпросвещения обкома и получилась насыщенной и интересной. Главное, что волнует сегодня коммунистов органов внутренних дел Юго-Осетии, всех граждан автономной области, — судьба перестройки, судьба страны и роль КПСС на нынешнем, наверное, самом ответственном этапе революционных преобразований.

На встрече были затронуты и вопросы деятельности органов правопорядка. Вне всякого сомнения, — подчеркнул первый секретарь Юго-Осетинского обкома партии В. Цховребашвили, — должны быть найдены средства, направленные на резкое улучшение материально - технического обеспечения милиции, Компетентность и профессионализм, помноженные на высокую техническую вооруженность, — такой видится цель перестройки советской милиции в современных условиях.

В заключение делегат съезда ответил на вопросы участников встречи,

**С. УШАКОВ,**
**начальник политотдела УВД Юго-Осетии.**



**АКТИВНО** обсуждаются итоги прошедшего недавно форума коммунистов страны в партийных организациях подразделений органов внутренних дел республики. Особый интерес у сотрудников вызывает то, как оценивают результаты съезда его непосредственные участники. Именно об этом шла речь на состоявшейся 19 июля в Глданском РОВД г. Тбилиси встрече сотрудников отдела с делегатом съезда — генеральным директором объединения «Орнони» Ю. Меншвили.

**НА СНИМКЕ:** Ю. Меншвили во время встречи с сотрудниками Глданского РОВД.

## ეკოლოგია—დღევანდელობის საზრუნავი

**ტრანსპორტის** ყოველდღიურ მატებასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა სპეციალური ღონისძიება ოპერაცია „სუფთა ჰაერი“-ს ჩატარება, რომლის ძირითადი მიზანია გამოვარკვიოთ თუ ავტოსატრანსპორტო საწარმოები და კერძო ტრანსპორტის მფლობელები, როგორ ასრულებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 1 ნოემბრის დადგენილებას, ქ. ბათუმში ავტოტრანსპორტის გამოფრქვევებით ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის ღონისძიებებს.

წელს ოპერაცია „სუფთა ჰაერი“ ქ. ბათუმში ჩატარდა 1 ივნისიდან 1 ივლისამდე. ერთთვიურის დროს გამოვლინდა, როგორც სახელმწიფო, ისე პირად ავტოტრანსპორტზე სტანდარტებით დადგენილი ტოქსიკურობის ნორმების დარღვევები. ღონისძიებების დაწყებამდე ყველა ავტოსატრანსპორტო თუ ავტოტექმომსახურეობის, ასევე სხვა საწარმოო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ინფორმირებული იყვნენ მოეწესრიგებინათ გამონაბოლქვი აირების ტოქსიკურობის დამდგენი ხელსაწყოები. ავტომობილების ძრავების კვების სისტემის რეგულირებისა და რემონტის შემდეგ გულდასმით შეემოწმებინათ გამონაბოლქვის ტოქსიკურობა და დაეცვათ სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნები. კერძო ავტომობილების მფლობელებს ვთხოვეთ დროზე და ყოველმხრივ ტექნიკურად მოეწესრიგებინათ თავიანთი ტრანსპორტის გამართულება, რათა არ დაეშვათ გამონაბოლქვი აირებით ატმოსფეროს გაჭუჭყიანება.

მიუხედავად აღნიშნულისა, ჩატარებულმა რეიდმა შემდეგი სურათი მოგვცა.

შერჩევით შემოწმებულ იქნა 6 ავტოსატრანსპორტო საწარმო. გაისინჯა 493 ა/მანქანა, აქედან ზედმეტ ტოქსიკურობაზე დროებით ექსპლოატაცია აეკრძალა 27 ა/მანქანას.

წლიური ტექნიკური დათვალიერებისას ინდივიდუალური ტრანსპორტის შემოწმებისას 684 ა/მანქანიდან გამოვლინდა 280 ზედმეტი ტოქსიკურობით. აქედან 30 ა/მანქანაზე შედგენილ იქნა ადმინისტრაციული ოქმი და მძღოლს აეკრძალა ექსპლოატაცია. ხოლო 250 ა/მანქანა შეკეთდა ადგილზე... რეიდის დროს შემოწმების შემდეგ დაჯარიმდა და ა/მანქანის ექსპლოატაცია აეკრძალა 97 მძღოლს, ხოლო 142 გაფრთხილდა.

ეკოლოგია რომ დღეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა უდაოა. საჭიროა პრაქტიკული ზომების მიღება, უსათუოდ დიდი ქალაქები უნდა განიტვირთოს მოძალებული ავტოტრანსპორტისაგან, ხშირად უნდა ჩატარდეს ოპერაცია „სუფთა ჰაერი“ „უტრანსპორტო დღე“ და ა. შ. ერთი სიტყვით ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მდგომარეობის განსამუხტავად.

**ნ. ბორბილაძე.**
**ქ. ბათუმის სახ. ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის პ/პოლკოვნიკი.**

## НА ОПЕРАТИВНОМ СОВЕЩАНИИ

**16 ИЮЛЯ** состоялось оперативное совещание руководящего состава МВД ГССР, которое провел министр внутренних дел республики генерал-лейтенант внутренней службы Ш. Горгодзе.

На совещании с информациями о состоянии оперативной обстановки в республике за первое полугодие, июнь и 15 дней июля т. г. и о состоянии регистрационно-учетной дисциплины и борьбы с преступностью органов внутренних дел республики в свете требований директивного письма МВД СССР выступил начальник оргинспекторского управления министерства полковник милиции К. Буджнашвили.

О результатах проведения оперативно - профилактического мероприятия «Комплекс» руководящих работников министерства проинформировал начальник УПС МВД ГССР полковник милиции Л. Горгодзе. С информацией о состоянии за первое полугодие работы по своевременному реагированию на поступающие в министерство от граждан письма, жалобы и заявления и организации их личного приема выступил начальник секретариата МВД ГССР полковник внутренней службы И. Барский.

# БЕЗЗАЩИТЕН ЛИ ЗАКОН?

**ЭТОТ ВОПРОС ВОЗНИКАЕТ НЕВОЛЬНО КАЖДЫЙ РАЗ, КОГДА УЗНАЕШЬ О НОВЫХ ПРЕСТУПЛЕНИЯХ ПРОТИВ ОРГАНОВ ОХРАНЫ ПРАВОПОРЯДКА.**

**Наверное всем нам приходится в последнее время задумываться о противоречиях, сопровождающих процесс перестройки и обновления нашего общества. С одной стороны, буквально на глазах происходит активизация общественно-политических процессов, осуществляется радикальная экономическая реформа, закладываются основы правового государства, с другой—ослабление порядка и дисциплины, рост преступности, вспыхивающие то здесь, то там конфликты на межнациональной почве, массовые беспорядки.**

**Работа органов охраны правопорядка в этих условиях существенно осложнилась, причем характерно, что они сами все чаще становятся объектами нападений и преступных посягательств. У всех на памяти трагические события июля прошлого года, в ходе которых были совершены нападения на ряд ОВД в Абхазии и Западной Грузии, похищено много оружия.**

**Отголоски тех событий дают о себе знать и сегодня. Казалось бы совсем недавно возбужденная толпа разгромила здание Чиатурского ГОВД, и вот сейчас — подобное же повторилось с Потийским горотделом. Что же произошло в этом обычно довольно тихом и спокойном портовом городе?**

ПОТИ встретил нас проливным дождем. Необычные пустынные улицы города, нависшие над ним грозовые тучи как бы подчеркивали сложность обстановки. В помещении ЛОВД на ст. Поти, где временно разместился и коллектив горотдела милиции, во всем ощущался напряженный деловой ритм.

У входа расположилась дежурная опергруппа, состоящая, как выяснилось, из прибывших на помощь коллегам сотрудников Батумского ГОВД. Чуть позже они вместе с местными сотрудниками направились к расположенному у въезда в город посту ГАИ, для проверки поступившего оттуда тревожного сообщения.

Спустя короткое время новый вызов — в районе здания морвокзала произошла драка, применено огнестрельное оружие. В промежутке между этими происшедшими за короткий срок событиями мы стали свидетелями того, как двое граждан сдали похищенное во время нападения на отдел оружие. Время как-будто уплотнилось, заставляя всех работать с полной выкладкой.

Из беседы с руководителями и сотрудниками отдела постепенно восстанавливаем картину событий того драматического дня.

В ночь на 8 июля оперативная группа под руководством начальника ОУР майора милиции К. Шелия провела операцию по задержанию местного жителя, ранее трижды судимого — дважды за воровство и один раз за административное нарушение — Б. Гвасалия, который на основании имеющихся данных подозревался в незаконном ношении и хранении огнестрельного оружия и боеприпасов.

Утром, около 7 часов, сотрудники милиции застигли Б. Гвасалия на квартире его знакомой Д. С. В процессе задержания в результате применения оружия со стороны К. Шелия был убит Б. Гвасалия, при нем были обнаружены ручная граната, револьвер системы «Наган» и боеприпасы к нему.

Сразу по поступлении сообщения о случившемся, прокуратурой г. Поти было возбуждено уголовное дело по признакам ст. 187 и II УК ГССР (превышение власти). Следователем прокуратуры Г. Абшилава был произведен осмотр места происшествия, откуда были изъяты ручная граната, «Наган», стреляные гильзы и пули от принадлежащего К. Шелия пистолета Макарова, который был взят для последующего исследования.

Распространившаяся в городе весть об убийстве при задержании Б. Гвасалия вызвала отрицательный резонанс среди его знакомых, в том числе и преступных элементов, которые, выражая недовольство по поводу случившегося, направились к зданию ГОВД. По дороге к ним примкнула большая толпа местных жителей. Всего собралось около 3-х тысяч человек.

— Нападение было неожиданным, хотя мы, после получения сообщения о случившемся во время операции по задержанию, приняли необходимые меры. Несмотря на выходной день по тревоге были вызваны сотрудники отдела, часть из них направлена для дежурства и патрулирования в разные части города. В здании в момент нападения находилось около двадцати сотрудников, — рассказывает начальник Потийского ГОВД К. Чаникашвили, — мы пытались разрядить конфликтную ситуацию, но наши увещевания на возбужденную толпу не подействовали. Пытаясь предотвратить проникновение посторонних людей в здание закрыли дверь. Тогда толпа стала забрасывать здание камнями, а затем и бутылками с зажигательной смесью. Мы связались с руководством министерства, оттуда обещали прислать помощь, но она уже запаздывала... Тем временем толпа окружила уже загоревшееся здание, пытаясь проникнуть в него с тыльной стороны. Не остановили ее и предупредительные выстрелы в воздух. В разбитое окно бросили дымовую шашку, помещение тотчас же наполнилось клубами дыма, находиться там стало невозможно. Огонь отрезал находящихся в здании сотрудников друг от друга, и им ничего другого не оставалось, как покинуть полностью объятое пламенем здание.

В это же время к зданию ГОВД для тушения пожара пытались пробиться пожарные машины, но путь им преградили толпы людей. Позже неустановленными лицами было совершено нападение и на расположенный в другом районе города медвытрезвитель, в ходе которого травмы получили двое сотрудников. Здание медвытрезвителя также сгорело. Был подожжен и дом К. Шелия.

Результаты этих варварских действий плачевны. Вместе с зданием ГОВД сгорели весь инвентарь и документы горотдела, а также все имеющиеся в наличии документы и материальные ценности расположенной в том-же здании прокуратуры. Материальный ущерб предварительно оценивается в 5—6 миллионов рублей, похищено более 50 единиц табельного оружие—пистолетов Макарова. Вместе с другими сгорел и сейф следователя прокуратуры Г. Абшилава с материалами и вещественными доказательствами по делу об убийстве Б. Гвасалия.

Однако, путем опроса Г. Абшилава, понятых, а также благодаря случайно сохранившимся фотоснимкам места происшествия, подтверждено фактическое наличие на месте обнаружения трупа сгоревших вещественных доказательств.

— В настоящее время обстановка в городе благодаря принятым мерам постепенно нормализуется. В день происшествия и последующие дни в город прибыли заместители министра внутренних дел республики полковник милиции Р. Гвенцадзе и подполковник в/с Ю. Ермолаев, руководители многих служб центрального аппарата министерства, которые, каждый по своей линии, помогли в налаживании работы отдела. В Поти были переброшены дополнительные подразделения милиции из близлежащих ГОРОВД Западной Грузии. Взяты под охрану наиболее важные объекты города, въезд в который временно ограничен. Разработана и используется новая система работы ППС, принимаются меры по изъятию похищенного табельного оружия, в настоящее время возвращено 12 ПМ. С этой же целью контактируем как с официальными организациями, так и с неформалами. Через местную газету мы обратились к населению с просьбой о содействии, обещали, что к тем, кто добровольно сдаст оружие, никаких административных мер принято не будет, — говорит начальник УУР МВД ГССР полковник милиции Г. Шаламберидзе.— Сейчас особенно важно в кратчайшие сроки выявить организаторов беспорядков и привлечь их к уголовной ответственности. Необходимо также детально проанализировать причины происшедшего. На сегодня ясно, что одной из них стало отсутствие у коллектива ГОВД должных связей с общественностью города, при наличии которых можно было предотвратить случившееся. Ведь из трех тысяч нападавших на ГОВД зачинщиков — незначительная часть, а остальные либо примкнувшие к ним ранее, обиженные почему-либо на милицию граждане, либо просто случайные люди. В то же время следует отметить, что сам факт нападения на здания ГОВД вызвал крайнюю озабоченность и недовольство населения города, которое требует принятия решительных мер для наведения должного порядка, недопущения в будущем подобной конфронтации с милицией.



Подтверждает эту мысль и такой эпизод. Когда мы снимали то, что осталось от здания ГОВД, больше напоминающего сейчас декорации для фильмов о войне, проходившая мимо женщина остановилась и сокрушенно покачала головой. «Происшедшее в тот день ужасно, — сказала она, — не понимаю, как можно так не уважать закон, учинять такой разгром в здании милиции, призванной обеспечивать порядок в городе. Кто же кроме нее защитит нас от хулиганов, грабителей, бандитов... Подобного больше нельзя допустить»... Примерно так же высказались практически все жители города, с которыми нам довелось беседовать в эти дни.

К сожалению, подобное понимание либо запаздывает, либо вовсе отсутствует, а террористические действия (назовем вещи своими именами) в отношении органов милиции приобретают, можно сказать, систематический характер. Еще по дороге в Поти мы узнали, что почти одновременно с первым нападением было совершено и еще одно — на Сенакский РОВД.

Причиной его послужила происшедшая год назад трагедия на дороге, в результате которой погибла женщина. Как установило следствие, она ехала в такси, когда с идущей впереди грузовой машины слетел металлический угольник и, пробив переднее стекло, нанес ей смертельное ранение. Водитель, испугавшись ответственности, спрятал тело на берегу реки.

Слов нет, поведение водителя до крайности недостойное, но ведь меру его ответственности должен определить суд. А на днях, во время слушания дела, в Сенаки явилась толпа (около 200 человек, родственников и знакомых из села пострадавшей), которая пыталась проникнуть в здание суда, требуя выдать им подсудимого. Учитывая реальную угрозу самосуда и расправы, охранявший подсудимого рядовой милиции П. Аданая с риском для себя, сумел увезти его от возбужденной толпы.

Полагая, что подсудимого укрыли в РОВД, толпа направилась туда, пытаясь проникнуть в здание. Только благодаря решительным действиям заместителя начальника отдела майора милиции Р. Чантурия, начальника ОУР майора милиции Т. Ахалая, инспектора ИДН капитана милиции А. Какулия, дежурных по РОВД капитана милиции Р. Шония, рядового милиции Д. Чубабрия и других сотрудников отдела удалось вытеснить из здания уже было вломившуюся туда толпу.

Однако нападавшие на этом не успокоились. Они забросали здание камнями, разбили стекла, потом направились к райкому партии, пытаясь его поджечь (неправда ли, знакомый почерк), но и здесь были остановлены в последний момент сотрудниками милиции. Но и на этом дело не кончилось.

Часть нападавших уселась на железнодорожном полотне в районе станции и заблокировала почти на сутки движение. Только после прибытия в Поти для помощи коллегам подразделения сотрудников Сенакского РОВД во главе с заместителем начальника отдела по политчасти майором милиции П. Гегенава, удалось стабилизировать положение. Руководством отдела была проведена разъяснительная работа и с населением Сенаки, которое было возмущено действиями правонарушителей и само помогло очистить от них полотно дороги и навести порядок.

Оба эти эпизода, также и происшедшие ранее, наводят на самые грустные размышления. Действительно, как требовать от милиции, недостаточно укомплектованной и технически оснащенной, результативности в борьбе с преступностью, если она даже без всякого предварительного анализа, периодически подвергается настоящей обструкции, прямой агрессии. Не случайно практически все сотрудники милиции этих отделов горько сетовали на свою правовую и социальную незащищенность. Высказывались и конкретные предложения, в частности, о создании соответствующим образом укомплектованных и технически оснащенных региональных подразделений милиции, специально предназначенных для борьбы с массовыми беспорядками— ведь помощь из центра в критических ситуациях запаздывает.

В беседе с нами П. Гегенава прямо высказал упрек в том, что редакция недостаточно освещает подобные проблемы в работе милиции. Принимаем это к сведению, хотя надо отметить, что мы стремимся постоянно быть в гуще событий и давать объективную информацию, в том числе и проблемного характера. Однако, даже принимая этот, думается, не вполне заслуженный упрек, хочется отметить, что ни редакция, ни даже руководство министерства не смогут решить всех накопившихся проблем без самой активной поддержки общественности республики.

Только достижением столь необходимого в нынешних сложных условиях взаимопонимания между органами правопорядка и населением, их совместными усилиями можно решить проблемы, предотвратить сползание к беззаконию и анархизму, оздоровить обстановку в республике.

**А. ЦАТУРОВ,**

**Г. МГАЛОБЛИШВИЛИ.**

# ვაკეთოთ ფული, ვაკეთოთ

**დღეს** პრესაში ხშირად წავიკითხავთ უკვე ყველასათვის ნაცნობ სიტყვებს, „ჩრდილოვანი ეკონომიკა" და მის „ჩრდილში" მოსაქმე მაფიოზები. დიდია მათი „საქმიანობის" არეალი, უფრო დიდია მათი ფესვები. როგორც იტყვიან — ხის სიმაღლე მხოლოდ მიწის ზემოთ კი არ იზომება, არამედ მისი ფესვებითურთ.

ყოველ წლიურად სსრკ-ში ჩრდილოვან ეკონომიკას ბრუნვაში აქვს 70-90 მილიარდი მანეთი! თანხები კოლოსალურია, მაგრამ მათი უფრო ქმედით საქმეში „დაბანდება" ჯერ ვერ ხერხდება: ინტერეს მოკლებული არ იქნება ვნახოთ, მაინც რა სფეროში უხდებათ საქმოსნებს მოქმედება. მაგალითისათვის რომ ავილოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება, (ეს ერთ-ერთი „წამყვანი" სფეროა, რომელიც საქმოსნების გაძლიერებულ ინტერესს იწვევს) სურათი ასეთი იქნება:

შინაგან საქმეთა სამინისტროს, მის სამსახურებს, კერძოდ კი სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლ სამსახურს, სისტემატიური, სერიოზული ბრძოლა აქვს გამოცხადებული ორგანიზებული დანაშაულისა და დატაცების, სპეკულაციის თუ გამოძალვის ყოველი, „მოქმედი პირისათვის". მარტო გასულ წელს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას საქმოსანთა მიერ მიყენებული აქვს 6 მილიონი მანეთის ზარალი.

ძნელია ებრძოლო ჩრდილოვან ეკონომიკას, როდესაც მას მრავალი წარმოება — დაწესებულების თუ ორგანიზაციების ხელმძღვანელი უდგანან სათავეში. სამწუხაროდ ასეთი ფაქტები ხშირია და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს დიდი შრომა უწევთ მათ სამხელად. გვინდა რამოდენიმე ფაქტზე შევჩერდეთ.

გასული წლის აგვისტოში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი თანხის დატაცებაში (73 ათასი მანეთი) ამხილეს წალენჯიხის ჩაის საწონი ფაბრიკა, სადაც ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარების შემდეგ გაირკვა, რომ დანაშაულებრივ ქმედებაში ერთ-ერთი ორგანიზატორი თვით ამ ფაბრიკის დირექტორი ზ. კვარაცხელია იყო... კომენტარი ალბათ ზედმეტია. გამოძიებას დიდი და დაძაბული მუშაობა დასჭირდა, რათა დანაშაულის ორგანიზატორის კვალზე გასულიყო.

ამას წინათ ამავე სამმართველოს მიერ განსაკუთრებით დიდი თანხის დატაცებისათვის „აფხაზკოოპტრანსვაჭრობის" სისტემაში მხილებული იქნა დანაშაულებრივი ჯგუფი, რომლის სათავეშიც ამ გაერთიანების დირექტორი ზ. აგრბა იდგა. აქაც ხელმძღვანელი მუშაკის „გადამწყვეტი სიტყვის" გარეშე არაფერი კეთდებოდა, მაგრამ კანონმა გადამწყვეტი, მკაცრი სიტყვა მაინც თქვა.

გადავხედავთ ფაქტებს დავრწმუნდებით რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის ხარჯზე გამდიდრებული საქმოსნების და სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელი მუშაკების გვერდით როგ შემთხვევებში ხელისშემწყობ პირებად თვით საკონტროლო-სარევიზიო აპარატების, სამინისტროების და უწყებების თანამშრომლებიც გვევლინებიან. სწორედ ამდაგვარმა რევიზიებმა და კომისიებმა „შეამოწმეს" ზემოთ აღნიშნული „აფხაზკოოპტრანსვაჭრობის" 13 ობიექტი, გასულ წელს მაგრამ მათ მიერ მცირედი დარღვევაც კი არ იქნა ფიქსირებული, როდესაც საქმეს უფრო სერიოზული სახე მიეცა და მასში შს ორგანოების შესაბამისი სამსახურები ჩაერთვნენ, გამოვლინდა, რომ დატაცებას 100 ათასი მანეთისათვის გადუჭარბებია. სხვა თანამდებობის პირებთან ერთად პასუხისგებაში მიცემულია რევიზორი გ. ფსარდია,

საყოველთაო აღშფოთებას იწვევს ის ფაქტიც, რომ სავაჭრო ქსელიდან ფართო მოთხოვნილების დეფიციტური საქონელი კომერციული საკომისიო მაღაზიების დახლებზე ხვდება, ფასები კი მოგეხსენებათ აქ ერთი-ათთანაა. გასაღების ახალი, უფრო ეფექტური წყარო გაუჩნდათ საქმოსნებს კოოპერატივების სახით, რომლებიც შეიძლება ითქვას დამოუკიდებლად წარმართავენ თავიანთ საქმიანობას და ანგარიშვალდებულნი მხოლოდ ბანკის წინაშე არიან. კოოპერაციის და კოოპერატივების საქმიანობა „სსრკ-ს კანონს კოოპერაციაზე" უნდა მოეწესრიგებინა, მაგრამ დღეს ამ ხაზით მაინც ბევრი პრობლემა და მოსაგვარებელი საკითხი რჩება. ის, რომ კოოპერატივების განვითარება სამეურნეო დამოუკიდებლობას ნიშნავს, ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ხომ არ შეიძლება კოოპერატივი მთლად „კერძო საკუთრებად" გამოვაცხადოთ, დავადოთ სასურველი ფასები, არავის წინაშე (ამ შემთხვევაში მოსახლეობა იგულისხმება) არ ვაგოთ პასუხი და ვძარცვოთ ერთმანეთი სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მითუმეტეს რომ მრავალი კოოპერატივის ხელმძღვანელები და მატერიალურად პასუხისმგებელი პირები ადრე ნასამართლევი არიან და „ძარცვის" პრაქტიკა გააჩნიათ. ამიტომაცაა რომ მათი „გამოცდილებით" დღეს ჩვენი ბანკებიდან სესხის სახით რამოდენიმე ათეული მილიონი მანეთია გატანილი და ვინ უწყის რაში არის დაბანდებული. შესაბამისი ორგანოები კი ოლიმპიური სიმშვიდით შესცქერიან ყოველივეს. ამის თვალსაჩინო მაგალითია რომ კოოპერატივ „ჩოგანზე" გადაცემული იყო 354 ათასი მანეთი, ამის გარდა კოოპერატივის თავმჯდომარემ რ. ნოვიცკიმ საქართველოს კულტურის ფონდიდანაც მიიღო 43 ათასი მანეთი, რომლებიც თითქოსდა კოოპერატივის კეთილმოწყობას და კაპრემონტისათვის უნდა გამოეყენებინა, დოკუმენტაციაც ამ მიზნით გამოიწერა, მაგრამ რ. ნოვიცკიმ ამ თანხაზე შემდგომი სპეკულაციისათვის შეიძინა დეფიციტური წიგნები. ბანკმა კი მხოლოდ სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის ჩარევის შემდეგ შეწყვიტა თანხის გაცემა აღნიშნულ კოოპერატივზე.

მაგალითების ჩამოთვლა ალბათ შორს წაგვიყვანდა ამაში მკითხველიც ადვილად დაგვეთანხმება, რადგანაც ყოველდღიურ ცხოვრებაში სულ ახალ-ახალ მაგალითებს ვეჯახებით პირისპირ. პრობლემა ერთია, რომელსაც გადაუდებელი და სასწრაფო გადაჭრა უნდა, რათა მას კიდევ ერთი და მერე კიდევ ერთი პრობლემა არ დაემატოს. მართალია დღევანდელ დღეს ცხოვრების და მოვლენების ასეთი ტემპით განვითარების დროს ნორმატიული აქტები და კანონწარმოება ვერ ასწრებენ ამ მოვლენებთან ერთად განვითარებას, მაგრამ ფაქტი ერთია — საქმეს შველა უნდა.

ხ. ალავიძე.

# ТРАГЕДИЯ НА АВТОДОРОГЕ

**ТРАГЕДИЯ...** Именно этим словом можно назвать то, что произошло недавно в Джавском районе. Этот теплый летний вечер стал последним для четырех людей.

Примерно в 21 час на третьем километре автодороги Гуфт—Рук около с. Сакире Джавского района житель г. Цхинвали, водитель автоколонны 2667 З. Чочиев, управляя автомашиной ЗИЛ-130, нарушил правила дорожного движения — выехал на встречную полосу — и совершил столкновение с автомашиной «Москвич» — такси, принадлежащей Цхинвальскому кооперативу «Чемпион». Им управлял житель г. Цхинвали 36-летний Ф. Бичинов. Вместе с ним в машине находились четыре пассажира.

В результате сильного лобового удара «Москвич» пролетел несколько метров по воздуху и упал в глубокий овраг. ЗИЛ-130, проехав несколько десятков метров, опрокинулся на правый бок. Водитель такси, три его пассажира — 31-летняя жительница с. Замтарет Джавского района М. Багаева, 23-летняя жительница г. Цхинвали Э. Багаева и 4-летний сын последней — Г. Зозиашвили скончались на месте. Четвертый пассажир — 24-летняя жительница г. Цхинвали Э. Багаева — в тяжелом состоянии была уложена в Джавскую райбольницу. Находящийся за рулем ЗИЛа З. Чочиев с места происшествия скрылся, но спустя сутки явился с повинной в Джавский РОВД.

В чем же причина этой ужасной трагедии? Следует отметить низкий уровень трудовой и производственной дисциплины водителей автотранспортных предприятий автономной области, слабый контроль со стороны инженерно - технического персонала. Не так уж редки случаи, когда водители как государственного, так и личного автотранспорта садятся за руль в нетрезвом состоянии. Самого серьезного внимания требует к себе и состояние наших автодорог.

Очень часто именно аварийное состояние автодороги становится одной из причин или даже главной причиной несчастья.

**Т. ГУЦМАЗТЫ,**
**старший лейтенант милиции, инструктор пресс - группы УВД Юго-Осетии.**

# И ВНОВЬ УГОНЫ

**В последнее время в ряде регионов республики наблюдается рост преступлений, связанных с угоном автомашин такси, избиением и ограблением водителей. Недавно в Гардабанском РОВД было раскрыто одно из подобных преступлений.**

**НА ДНЯХ** в Гардабанский РОВД явился с заявлением об ограблении водитель руставского таксомоторного предприятия И. Велиев. По его словам, вечером, примерно в 19 часов, к нему в машину подсело двое незнакомых лиц и попросили подвести в г. Тбилиси и обратно. Однако затем решили поменять маршрут. На 516 км трассы Новороссийск — Баку сидящий рядом с водителем незнакомец попросил остановить машину, ненадолго вышел из нее, затем, вернувшись, подошел к водителю, и, угрожая ножом, потребовал дневную выручку. Забрав 60 рублей, преступник, сев за руль, угнал автомашину.

После поступления заявления о случившемся в РОВД, была создана опергруппа в составе начальника отделения УР майора милиции В. Тевзадзе и оперуполномоченного ОУР старшего лейтенанта милиции З. Нинашвили. Благодаря оперативным действиям членов группы, такси в этот же вечер по «горячим следам» было найдено, а принятыми мерами был установлен и задержан угонщик такси. Им оказался житель г. Рустави, ранее судимый Геннадий Г.

Кстати говоря, по словам начальника Гардабанского РОВД Г. Петриашвили, это не первая выявленная и задержанная В. Тевзадзе и З. Нинашвили группа в этом году, в связи с чем руководством РОВД ст. лейтенант милиции З. Нинашвили был представлен и награжден нагрудным знаком «Отличник советской милиции».

**А. МАЛАЯНЦ.**

## АДРЕСА ПЕРЕДОВИКОВ



**ПАСПОРТНОЕ отделение Глданского РОВД — одно из лучших по своей службе в системе УВД Тбилгорисполкома. В этом немалая заслуга принадлежит его начальнику — капитану милиции Иосифу Дарсавелидзе. В его рабочем кабинете обращают на себя внимание полученные И. Дарсавелидзе дипломы, грамоты и ценные подарки. На одном из подарков — часах, которые висят на стене, надпись «Товарищу И. Дарсавелидзе — лучшему по профессии» и подпись — Руководство УВД Тбилгорисполкома. Недавно за хорошие показатели в работе он награжден медалью «За безупречную службу».**

**НА СНИМКЕ: начальник отделения капитан милиции И. Дарсавелидзе, старшая паспортистка М. Прундзе и паспортистка Н. Окрошвили во время изучения документов.**

**Текст и фото Г. ГУРАМИШВИЛИ.**

# წინ ისევ გზაა...

**ყველაზე** დიდი პატივი, რაც განგებამ ქალს უბოძა დედობაა. მაგრამ დედობა მარტო შვილების გაჩენა არაა. მათი ჭეშმარიტ, კეთილსინდისიერ, ჰუმანურ პიროვნებად აღზრდაა. უფრო კარგი დედა კი ისაა, ვინც სხვისი შვილის ტკივილს, ბედს, სიხარულს ღვიძლივით გაიხდის და მალამოდ მოეფინება. ეს ყველაფერი იმისთვის დამჭირდა, რომ თქვენი კარგი ადამიანობა წარმომეჩინა ქალბატონო ნინო. ქალისთვის ყველაზე უფრო ძნელია შინაგან საქმეთა სამსახურში ყოფნა, მით უფრო თუ, მას არასრულწლოვანთა ბედი აბარია. ალბათ არ არის სადაო, რომ რესპუბლიკის მაშტაბით არასრულწლოვანთა ხაზით მუშაობა მაინც და მაინც არაა სახარბიელო. ბოლო პერიოდში მომხდარ დანაშაულთა მეტი ნაწილიც პროცენტულად მათზე მოდის. მაგრამ ლანჩხუთის რაიონის შს რაიგანყოფილებას ეს საკითხი სათანადო დონეზე აქვს დაყენებული ნინო ლომიძის წყალობით. ნინომ 1974 წელს დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი. 1975 წლიდან კი ბავშვთა ოთახის ინსპექტორია. დიდი ფიქრით, დაიწყო ეს გზა. ალბათ მოსვენებას უკარგავდა აზრი, ერთი არასრულწლოვანიც რომ ასცდეს ჭეშმარიტ გზას, ის საქართველოს დააკლდება უწინარესად მამულიშვილად, მერე კი ექიმად, მუშად, ინჟინრად, პედაგოგად და ა. შ. და ა. შ. ამ ფიქრით გაილია 15 წელი. რამაც მილიციის კაპიტან ნინო ლომიძეს მოუტანა დიდი სიყვარული, თანადგომა ახალგაზრდობასა და კოლექტივში.

— ნინო ამ საქმისთვისაა დაბადებული. მისთვის არ არსებობს კარგი და ცუდი ბავშვი, ჩვენში რომ იციან ხოლმე სოციალური მდგომარეობით დაყოფა. მას ყველა არასრულწლოვანის ბედი სტკივა. ყველას მომართ არის მომთხოვნი, მოკრძალებული, მისი ყოველი სამუშაო დღე სიახლითა და ძიებით იწყება. — ეს სიტყვები ლანჩხუთის რაიონის სკოლა ინტერნატის პედკოლექტივის მიერ გამოგზავნილი წერილიდანაა ამოკრებილი, სადაც სკოლის ხელმძღვანელობა მადლობას უხდის ნ. ლომიძეს თანადგომისა და დახმარებისათვის.



ბევრ საინტერესო დღეებს, მოგონებებს იტევს განვლილი გზა. ბევრჯერ ბავშვებთან ერთად უტირია ნინოს, მათთან ვისაც ოჯახმა, გარემომ შეუქმნა პირობები გამხდარიყო ძნელადაღსაზრდელი. ვისაც დედის გულქვაობით, მამის უკაცობით ქუჩაში უთენებ-ულამებია. იძულებული ყოფილა სხვისი ჯიბისკენ გაეხედა და ათასი წყევლა-კრულვა მიეღო საზოგადოებისაგან. ეს ყველაფერი ჩავლილია, დღედაღამ საქმესთან ყოფნამ, ადამიანურმა სითბომ, სიკეთის სანთელ-საკმეველმა მისი გზა ჰპოვა.

ნინო ლომიძე, როგორც გულისხმიერი, კარგი თანამშრომელი ოთხჯერაა დაჯილდოებული შს სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ. მიღებული აქვს სამკერდე ნიშანი „უმწიკვლო სამსახურისათვის".

წინ კი ისევ გზაა, ძნელად სავალი, ჩამუხლვა რომ არ უხდება, თუმცა არც ნინო აპირებს დაღლას.

მ. მოხიძე

СПОРТ — СПОРТ

## Играют юные иберийцы

ЧЕМПИОНАТ мира по футболу в Италии завершился. И думалось, что самые большие переживания любителей футбола позади. Однако грузинским болельщикам футбола долго не пришлось скучать — радостная весть пришла из Западного Берлина, где в соревнованиях, посвященных 70-летию местного футбольного клуба «Берлинер Аметеур», наибольший успех выпал на долю воспитанников тбилисской школы футбола «Иберия» (бывшей «Юный динамовец»). Юные иберийцы вместе со своими сверстниками из Италии, Швеции, Турции, ГДР и ФРГ участвовали в двух турнирах.

В первом турнире, где призы оспаривали мальчики 10—11 лет, тбилисцы заняли второе место. В этом турнире отличился лидер команды Георгий Шенгелия (сын известного в прошлом форварда Рамаза Шенгелия), он проявил незаурядные снайперские способности, которые отличали всегда его отца. Юный Георгий забил восемь мячей и был признан лучшим бомбардиром турнира, а его товарищ по команде, Валерий Гагуа, удостоился приза лучшего вратаря.

Особенно удачно выступили посланцы нашей республики во втором турнире с участием 14—15-летних футболистов. В финале тбилисцы провели два безответных мяча в ворота западногерманской команды «Зюрдинг» и стали победителями турнира.

И здесь приз лучшему бомбардиру достался юному иберийцу, капитану команды Ираклию Назлидису.

Участие в таком турнире принесло неоценимую пользу юным футболистам. Кроме того, это еще один шаг, хотя и небольшой, к самостоятельному сотрудничеству федерации футбола Грузии на международной арене.

**А. МАЛАЦИДЗЕ.**

## ЗОЛОТО МАЛХАЗА БЕРУАШВИЛИ

НА ДНЯХ в Калинине завершился чемпионат СССР по борьбе самбо. Победа в этих престижных соревнованиях всегда почетна, но особую цену имеет она, когда добывается в схватке палаванов тяжелого веса. На сей раз на татами всесоюзного турнира в тяжелом весе не было равных тбилисскому динамовцу Малхазу Беруашвили, который, убедительно победив всех соперников, впервые удостоился золотой медали чемпиона СССР по борьбе самбо.



**ზაფხულის** ცხელი დღეებია, მართალია ჩვეული ხალხმრავლობა არ არის შავი ზღვის სანაპიროზე, მაგრამ დამსვენებლები მაინც ბლომად არიან სოხუმის პლაჟზე. ცხადია მეტი საზრუნავი გაუჩნდათ წესრიგის დამცველებს, მეტი პასუხისმგებლობა, მეტი სიფხიზლე, რათა არ მოხდეს დამსვენებელთა მყუდროების დარღვევა, ამიტომ ყოველ პლაჟზე მიმაგრებული არიან წესრიგის დამცველები.

**სურათზე:** საპატრულო-საგუშაგო სამსახურის თანამშრომლები: მილიციის უფროსი სერჟანტი გოგი გაბელია და უმცროსი სერჟანტი ზურაბ ავიძბა სოხუმის სამედიცინო პლაჟზე მორიგეობის დროს.

ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР

# ОПЫТ ИСПОЛЬЗОВАНИЯ АИС «СЛЕЖЕНИЕ» В УВД ЗАКАРПАТСКОГО ОБЛИСПОЛКОМА

В УВД Закарпатского облисполкома разработана и введена в действие автоматизированная информационная система слежения за своевременным разрешением зарегистрированных в дежурных частях органов внутренних дел заявлений и сообщений о преступлениях — АИС «Слежение».

Принцип ее работы довольно простой. Дежурный РОВД, получив и зарегистрировав заявление или сообщение о преступлении в книге учета, передает по телефону необходимые сведения в дежурную часть УВД. Здесь полученная информация обогащается и направляется в информационный центр (ИЦ). Аналогичным образом организовано прохождение сведений о принятых решениях по зарегистрированным материалам. Полученная таким образом информация вводится в память ЭВМ и ежедневно корректируется.

Это дает возможность в любой момент времени как в целом по УВД, так и по каждому ГОРОВД получать данные:

— о количестве зарегистрированных и разрешенных заявлений и сообщений о преступлениях;

— сроках их разрешения;

— остатке неразрешенных заявлений и сообщений о преступлениях;

— о видах и количестве принятых решений по заявлениям;

— о практике прокурорского реагирования на необоснованные отказы в возбуждении уголовного дела.

На их основе ИЦ в автоматизированном режиме выдает развернутую информацию о конкретных заявлениях, сроки разрешения которых истекают или нарушены, что позволяет оперативно принимать упреждающие управленческие решения. Данные выдаются как по запросам заинтересованных служб, так и инициативно. В обобщенном виде с нарастающим итогом они ежемесячно рассылаются во все горрайорганы внутренних дел области.

Простота и надежность АИС «Слежение» позволяют значительно повысить эффективность контроля за рассмотрением заявлений и сообщений о преступлениях, значительно сократить факты волокиты и нарушений, повысить ответственность и исполнительную дисциплину сотрудников. Система может использоваться и для формирования госстатотчетности по форме «2-Е» в автоматизированном режиме.

**რომან** გვენცაძე. მაშ ასე მძარცველები ორი საათის შემდეგ სტოვებენ ალექსი ტოლსტოის სახლს. ახლა წარმოიდგინეთ ქალბატონ ლუდმილას სახე!... საქვეყნოდ ცნობილი მწერლის სახლი ასე უნამუსოდ დაარბიეს გარეწრებმა! მოსკოვის სისხლის სამართლის სამმართველოს ოპერატიული ჯგუფი უაღრესად რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა არავითარი ეჭვი. არავითარი სამხილი. მხოლოდ გატაცებული ნივთების ნუსხა. მის დადგენა-შედგენაზე დიდი დრო არ დახარჯულა. მაშინვე საცნაური გახდა მეთვრამეტე საუკუნის ჰოლანდიური სკოლის ორი უცნობი ოსტატის ტილო, მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრები ინგლისელი მხატვარი ქალის რობერტსონის „დედოფალი", უძველეს ოქრომჭედელთა იშვიათი ნაკეთობანი...

— და ის ფრანგული, საგვარეულო გულსაბნევიც, რამაც ბეცი საქართველოში გადმოხვეწა?

— ცხადია — სული მოითქვა, ისევ ძებნა. ცნობა. თბილისში სემიონოვკის დასახლებაში ერთ-ერთ ბინაში აფარებს თავს! ჩავატარეთ დაზვერვა მაგრამ ბეცი თვალსა და ხელს შუა დაგვისხლტა.

სამტრედია. კოპიტნარი. ვხედავთ „ჟიგულის" უკანა სავარძელში მჯდომი ბეცის თავს. მინისტრის მოადგილეს რაციით ვუკავშირდებით, — დავიწყოთ ოპერაცია. თუ წინააღმდეგობას გაწევს, პირდაპირ მანქანიდან ვესვრი. „ვნახოთ!"

სპიდომეტრი ასორმოცდაათს გაუსწორდა. ახლა საჭეს მინდა მოვცილდე, რათა კარგად ამოვიღო მიზანში. ამისთვის უკანა სავარძელში უნდა გადავჯდე. მაგრამ როგორ? ის ვინც ჩემს გვერდით ზის, მანქანას ცუდად ატარებს. მანქანის ტარების დიდოსტატი უკანა სავარძელზეა მოკალათებული, ამიტომ ჩემს გვერდით მჯდომმა და უკანა სავარძელში მჯდომმა გაცვალეს ადგილები. ერთი სიტყვით, სამმაგი კომბინაცია დაგვჭირდა. რათა უკანა სავარძელზე მოვხვედრილიყავი... გივი კვანტალიანი ხედავს ყოველივე ამას, მესმის რაციაში მისი ხმა. „რას შვრებით!" მოვკალათდი. „ჟიგული" ამოვიღე მიზანში. მივქრით ამასობაში კვანტალიანის მანქანა წინ გვისწრებს იქ საის პოსტია. გადაკეტილია ყველაფერი. ისმის სტვენა. დგანან ავტომატმომარჯვებული მილიციელები... ბეცის მანქანის თვლები თითქმის არც ეკარება ასფალტს... სცდება პოსტს. მერე ერთბაშად უხვევს და ვიწრო შუკაში შედის კვანტალიანის მანქანა მისდევს. ვყვირი „არ შეჰყვეთ" მძღოლი ბეცს წინააღმდეგობას აძლევს. გადაჯდა საბარგულში... მერე ირკვევა: ბეცი ეუბნება მძღოლს — ეს რა მანქანაა, რომ ჩამოგვყვა? „გზა შეეშალა ალბათ". ბეცი დიდხანს უყურებს მოშორებით მდგომ მანქანას. მანქანა მიდის და ისიც მშვიდდება. მერე პისტოლეტს მჭიდეს უცვლის. „თბილისამდე არსად გააჩერო, თორემ ძაღლივით მოგკლავ!" ასეთი მუქარით ჯდება საბარგულში. სწრაფად ლამდება. ჩვენ ჩამქრალი ფარებით ველოდებით „ჟიგულის" გამოჩენას.

აი, გამოაღწია კიდეც შუკას.

რამდენიმე მეტრზე მივდევთ... საცაა ზესტაფონს მივუახლოვდებით...

ისმის მუხრუჭების ღრჭიალი და საბურავების სკდომის ხმა.

ბეცი საბარგულში ზის, იგი განწირულია. თავის დასახსნელად უსათუოდ გამოიყენებს იარაღს, მას ესმის ადამიანის ფეხის ხმა, მოკლე მკვეთრი განკარგულებები.. ვიღაცა მანქანისაკენ მოემართება. გაიღო სათავსოს წინა კარი. „ბეც დაგვნებდი!" „თქვენი დედაც!.." ისმის საბარგულიდან და საშინელ გინებას რამოდენიმე გასროლა მოსდევს. ბეცი სიმწრის ოფლში ცურავს. მერე ხელყუმბარას მოსინჯავს... როგორმე უნდა გახსნას საბარგულის საკეტი... როგორმე... „ბეც, დაგვნებდი." — ისევ გაისმა სულ ახლო. ეს რომან გვენცაძის ხმაა. ბეცი ისევ ისვრის. მან უკვე იცის, რაც ელის... რომან გვენცაძე ავტომატმომარჯვებული დასჩერებია საბარგულს...

●

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გიორგი სანადირაძე

## აკრძალული თამაშები

სიგარეტი. ონავ მოჭუტული თვალები. განაგრძო: მე წეღანაც ვთქვი. იგი ვინმე ნიქარაძემ შეიძინა ბეცისაგან.

— ოცდახუთი ათას მანეთად?

— ასეა.

— ბეცი იმ გულსაბნევის გასაყიდად ჩამოვიდა?

რომანმა გაიცინა.

— არა.

მე გბრკჟევით შევხედე.

— გულსაბნევის წასაღებად.

— ჯერ გაყიდა, მერე უკან დაბრუნება გადაწყვიტა?

— განა ეს გასაკვირია? ბეცი ხომ პირწავარდნილი ყაჩაღია? მაგრამ მოდით, ნუ ვიჩქარებთ... დავუბრუნდეთ ტოლსტოის სახლს და იმ ოპერატიული ჯგუფის საქმიანობას, რომელსაც პოდპოლკოვნიკი ალექსი სუხარევი ჩაუდგა სათავეში....

რომან გვენცაძე: მივიღეთ ინფორმაცია, რომ საქართველოში იმყოფება საკავშირო ძებნილი ბეცი. მას ბრალი ედება ალექსი ტოლსტოის სახლის გაძარცვაში. ნაძარცვის ნაწილი გაყიდულია საქართველოში. ერთ-ერთი უნიკალური ნივთი, საგვარეულო გულსაბნევი იყიდა ვინმე ნიქარაძემ. რამ ჩამოიყვანა ბეცი? იგი ნიქარაძეს ეახლა და სთხოვა ნაყიდი ნივთის უკან დაბრუნება. მიზანი: ეს იყო ტოლსტოის სახლიდან წაღებული ბოლო ნივთი. ბეცის ვარაუდით მისი დაბრუნების შემდეგ სასჯელი მაქსიმალურად შეუმსუბუქდებოდა... ნიქარაძემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. იგი სათოფედაც არ იკარებდა ბეცს... ბოლოს როცა სამსახურშიც მიაკითხა, დაემუქრა კიდეც „თუ თავს არ დამანებებ, შუბლს ტყვიით გაგიხვრიტავო". ნიქარაძემ კარგად იცოდა ამ ბროშის ფასი! მერე ბეცის თანამონაწილე იგონებდა: ბეცი ძალზე განიცდიდა ნიქარაძის სიჯიუტეს. ბოლოს როცა ნიქარაძე ბაზრიდან ბრუნდებოდა, სადარბაზოში დახვდა, შუბლზე იარაღი მიადო და ერთი გასროლით მოკლა...

ეს ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილი არ იყო. ბუნდოვნად ფუთფუთებდა ეჭვი. დავიწყეთ ბეცის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" №№ 19-29.

### გასწორება

ჩვენი გაზეთის 14 ივლისის ნომერში, სტატიაში „კარგ მოქმედს კარგი გამგონე უნდა" მეორე სვეტის ბოლოდან მეორე აბზაცში გაიპარა შეცდომა „მოდით, ვეცადოთ, უკეთ გავუგოთ" — უნდა იკითხებოდეს „ეს ყველაფერი რა კი იმის", ...შემდეგ კი როგორც ტექსტშია.

ინდექსი ●●●●●

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 28. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორის მაგიერ ა. ცატუროვი

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 05561